პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 135 (10529) | სამშაბათი, 12 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

სახალხო განათლების განვითარების ინტერესებისათვის

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირის საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ფულის გაუქმების შესახებ“. ყველა საბჭოთა ადამიანი მხურვალე მოწონებით შეხვდა ამ ღონისძიებას.

ჩვენს ქვეყანაში, როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდესი კულტურული რევოლუცია განხორციელდა. იმ წარმატებათა მკაფიო დადასტურებას, რომლებიც კულტურის განვითარებაში მოვიპოვეთ, წარმოადგენს სახალხო განათლების მდგომარეობა. ჩვენ ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას ისეთი რაოდენობით არა აქვს სკოლები, ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები, როგორც საბჭოთა კავშირს. ქალაქებსა და სოფლებში შემოღებული საყოველთაო ფიდწყლიანი განათლება და ახლა ხორციელდება საყოველთაო საშუალო განათლება. საკმარისია თქვას, რომ 1955-56 სასწავლო წელს ყველა სახეობის სკოლაში ჩვენში სწავლობდა 30.070 ათასი კაცი, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 1 მილიონ 961 ათასი, უმაღლეს სასწავლებლებში — 1 მილიონ 867 ათასი კაცი. ხოლო ყველა სახეობის სწავლებაში, მათ შორის მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებისა და გადამზადების კურსებზე, ჩაბმული იყო 50 მილიონზე მეტი კაცი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედი ნაწილი სწავლობს.

იმის ერთ-ერთ მაგალითს მრავალთაგან, თუ რა ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების დარგში, წარმოადგენენ შუა აზიის რესპუბლიკები. 1914-15 სასწავლო წელს, მაგალითად, ტაჯიკეთში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა სულ 400-მდე კაცი, თურქმენეთში — 6.800, ყირგიზეთში — 7.000 კაცი. ახლა თვითეული ამ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ასეულ ათასობით მოსწავლე ითვლება. წინათ აქ არ ყოფილა საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები, ახლა ამ რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ცოდნას ეუფლება ათეულ ათასობით სტუდენტი. საბჭოთა კავშირის ყოველ რესპუბლიკაში არის უნივერსიტეტები, რომლებიც მეცნიერებისა და კულტურის ნამდვილ კერებს წარმოადგენენ.

მეექვსე ხუთწლედში ჩვენი ქვეყანა ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ საშუალო და უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარების გზაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ამოცანა — მიმდინარე ხუთწლედში ძირითადად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება ყველა ქალაქში და სოფელ ადგილას. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესასრულებლად დასახულია სერიოზულად განმტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა. ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მეხუთე ხუთწლედთან შედარებით დაახლოებით ერთიორად გადიდდეს სახელმწიფოს ხარჯზე ახალი საქალაქო და სასოფლო სკოლების მშენებლობის მოცულობა. გარდა ამისა, სოფელ ადგილას სკოლების მშენებლობასა და მოწყობაში ფართოდ ჩაბმული არიან კოლმეურნეობები. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განვითარდეს პოლიტექნიკური სწავლება, უზრუნველყოფილ იქნას სწავლების მჭიდრო კავშირი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან, მოზარდ თაობაში დაინერგოს კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი. მიმდინარე წლიდან ფართო გაქანება ენიჭება სკოლა-ინტერნატების მშენებლობას, რომლებიც ახალი ტიპის სასწავლებლებს წარმოადგენენ.

მნიშვნელოვნად ფართოვდება საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება. დასახულია მეექვსე ხუთწლედში გამოშვებულ იქნას 4 მილიონი სპეციალისტი, ესე იგი თითქმის იმდენივე, რამდენიც მომზადებული იყო ორ წინა ხუთწლედში. მტკიცდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მატერიალური ბაზა, უმჯობესდება მათი აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით, ხორციელდება სხვა ღონისძიებანი სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პარტია და მთავრობა არ იშურებენ სახსრებს იმისათვის, რომ განუწყვეტლივ მაღლდებოდეს ყველა საბჭოთა ადამიანის კულტურული დონე, რომ კომუნისტური საზოგადოების მძლავრ მატერიალურ-საწარმოო ბაზასთან ერთად იქმნებოდეს აგრეთვე კომუნიზმზე ისტორიული გადასვლის განხორციელების ყველა საჭირო სულიერი წანამძღვარი.

უკანასკნელ დრამდე ჩვენში მცირე რაოდენობით ახდევინებდნენ სწავლის ფულს საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებისა და ახალგაზრდობის მიერ უმაღლესი განათლების მისაღებად ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა 1956 წლის 1 სექტემბრიდან გაუქმოს სწავლის ფული.

საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ფულის გაუქმება ერთ-ერთი ღონისძიებაა იმ მრავალ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, იგი ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი გამოვლინებაა. მალე პარტიის ყრილობის დამთავრების შემდეგ შემცირდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა დასვენების დღეებისა და უქმეების წინა დღეებში, გადიდდა ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის დროს ანაზღაურებული შვებულების ხანგრძლივობა, დაწესდა ექვსი საათის სამუშაო დღე წარმოებაში დასაქმებული მოზარდებისათვის. ამას წინათ გამოქვეყნდა პროექტი კანონისა სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომელიც ძირეულად აუმჯობესებს პენსიებით მშრომელთა უზრუნველყოფის საქმეს.

კომუნისტურმა პარტიამ თავის XX ყრილობაზე დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ხედავენ, თუ რა თანმიმდევრობით ხორციელდება ეს ღონისძიებანი. ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვას საბჭოთა ადამიანები უპასუხებენ ახალი შრომითი აღმავლობით მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

„პრავდის“ 11-VI მოწინავე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს რა რუმინელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, მიიღო გადაწყვეტილება, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გადაეცეს რუმინეთის გამოყენებითი, დეკორაციული და სახვითი ხელოვნების ისტორიული ფასეულობანი. ეს ნაწარმოებნი რუმინეთის მთავრობამ შესანახავად გადასცა რუსეთს პირველი მსოფლიო ომის წლებში, როცა რუმინეთი რუსეთის მოკავშირე იყო. დიდი სამამულო ომის წლებში მთელი საბჭოთა არქივები და სახელმწიფო ფასეულობანი, მათ შორის რუმინეთისაც, განიზნული იყო ჩვენი ქვეყნის უშიშარ რაიონებში. ამჟამად საბჭოთა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა დაამთავრეს მუშაობა წინათ განიზნული ფონდების შესწავლისა და სისტემატიზაციისათვის. გარჩეული, მთლიანად გაფოვლინებული და სისტემატიზებულია აგრეთვე რუმინეთის ისტორიული და მხატვრული ფასეულობანი, რაც სსრ კავშირში ინახებოდა.

ამ ფასეულობაში არის 1.350 სურათი, გრავიურა და ნახატი, რომლებიც ეკუთვნით ცნობილ რუმინელ მხატვრებს ტ. ამანს, ნ. გრიგორესკუს, ო. ბენჩილს, ს. ლუკიანს, კ. სატმარის, კ. დ. როზენტალს, ი. ანდრიესკუს, ჟ. ტეტერესკუს, ი. ნეგულიჩსა და სხვებს. 156 ხატის კრებული წარმოადგენს XVI-XVII საუკუნეების ძველ რუმინულ ფერწერას. ქსოვილების ნაწარმი — უმთავრესად საეკლესიო ტანისამოსი და შესამოსელი, ოვალმარგალიტით შემკული, — XVI-XVII საუკუნეების რუმინული ნაკერობის უიშვიათესი ნიმუშია, ფასეულობაში არის 50-მდე საერო და საეკლესიო ნივთი (ოქროს და ვერცხლის საცეცხლურები, მიტრები, კანდელები, ჯვრები, თასები და სხვ.), რომლებიც შეუქმნიათ XVI-XVII საუკუნეთა რუმინელ სახალხო ოსტატებს.

დიდი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს მონეტებისა და მედლების უდიდეს კოლექციას, რომელიც შედგება 35.533 საგნისაგან. მათ შორის გამოირჩევა კუნძულ ეგინის ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნის, კუნძულ ლესბოსის ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის მონეტები, მაკედონიის მეფის ალექსანდრე III ოქროს მონეტები, ეგვიპტის მეფის პტოლომე I, თრაკიის მეფის ლისიმახის ოქროს მონეტები, რომაელი იმპერატორების, ბიზანტიის მეფეების, არაბთა ხალიფების მოჭრილი მონეტები, აგრეთვე რუმინული მონეტები და მედლები.

განსაკუთრებით ძვირფასია ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დამლევის განძი, რომელიც იპოვეს პეტროსის ახლოს და რომელშიც არის ოქროს თასები, დიდი ლანგარი, თვლიანი და უთვლო ბეჭდები, სამაჯურები.

საბჭოთა ხალხი ხელოვნების მთელ ამ ნაწარმოებებს, რომელთაც დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულება აქვთ, სათუთად ინახავდა მიუხედავად იმისა, რომ რუმინელი ბოიარები და კაპიტალისტები ორჯერ — 1918 და 1941-44 წლებში ომობდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, აოხრებდნენ რა ჩვენს ქვეყანას და სპობდნენ მის ისტორიულ და მხატვრულ ძეგლებს. სსრ კავშირის მთავრობასა და საბჭოთა ხალხს ყოველთვის მიაჩნდა ეს ფასეულობანი თვით რუმინელი ხალხის ხელშეუვალ კუთვნილებად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გადასცემს რა მხატვრულ ფასეულობას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც თავისი ხალხის ნებასა და ინტერესებს გამოხატავს, დარწმუნებულია, რომ ეს მეგობრული აქტი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება საბჭოთა და რუმინელ ხალხებს შორის ურღვევი ძმური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ანჯელო სენიისადმი

8 ივნისს სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა იტალიაში დ. პ. პოკიდაევმა ინახულა იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონიო სენი და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი.

ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული წერილის ტექსტი:

„მოსკოვი, კრემლი.

1956 წლის 6 ივნისი.

პატივცემულო ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო,

ამ წერილში მინდა შევეხო განიარაღების პრობლემას, რომელიც თანამედროვე პირობებში უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი პრობლემაა.

ორმა მსოფლიო ომმა ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე აუტანელი უბედურება მიაყენა კაცობრიობას. ხალხებსა და მთავრობებს არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ იმას, რომ მესამე მსოფლიო ომის წარმოშობა ისეთ ახალ სახეობათა იარაღის გამოყენებით, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღი, გამოიწვევდა ადამიანთა კიდევ უფრო მძიმე მსხვერპლს და ნგრევას. სწორედ ამიტომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განიარაღების საკითხი არ სცილდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობა და უშიშროება. ახლა, როცა იტალია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა, თქვენს მთავრობას, თავის მხრივ, შესაძლებლობა აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიარაღების პრობლემის განხილვაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იტალია თავის დადებით გავლენას მოახდენს ამ საკითხში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

როგორც ცნობილია, მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, რაც უკვე ათ წელზე მეტია წარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დღემდე არ მოუცია დადებითი შედეგები. ამავე დროს, ახლა, როცა საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელებაა და „ცივი ომი“ სულ უფრო მეტად უთმობს ადგილს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრული კონტაქტების განვითარებას, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები განიარაღების ეფექტიან ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამ გარემოებებში საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭიროა გამოინახოს ახალი მიდგომა განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ექნება სახელმწიფოთა პრაქტიკულ ღონისძიებებს ოვიანური შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესამცირებლად.

იმ გარემოებამ, რომ ცნობილი სახელმწიფოები არიან მონაწილენი ამა თუ იმ შეთანხმებებისა, რომლებითაც მათ ნაკისრი აქვთ გარკვეული ვალდებულებანი, მათ შორის სამხედრო ხასიათის ვალდებულებანი, ხელი არ უნდა შეუშალოს იმას, რომ უკვე ახლა ყველაზე დიდმა სახელმწიფოებმა — ასეთ შეთანხმებათა მონაწილეებმა გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესამცირებლად.

მე ვფიქრობ, დამეთანხმებით, ბატონო თავმჯდომარეო, რომ ასეთ ღონისძიებათა განხორციელება უკვე ამჟამად, ისე რომ არ დაველოდოთ განიარაღების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მიღწევას, ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას.

სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა მთავრობა, როცა მიიღო გადაწყვეტილება თავისი შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ 1.200.000 კაცით, გარდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 640.000 კაცით შემცირებისა, რაც 1955 წელს განხორციელდა. შესაბამისად შემცირდება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხარჯები სამხედრო საჭიროებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით.

საბჭოთა მთავრობა, დარწმუნებული, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრით დაინტერესებულია ყველა სახელმწიფო, იმედს გამოთქვამს, რომ იტალიის მთავრობა და პირადად თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, მთელი ყურადღებით განიხილავთ საბჭოთა მთავრობის 14 მაისის თანდართულ განცხადებას და შეიტანთ თქვენს წვლილს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმეში, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ბულგანინი

მის აღმატებულებას ანტონიო სენიის
იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარეს
რომი“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი კანადის პრემიერ-მინისტრ ლუის სენ-ლორანისადმი

8 ივნისს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კანადაში დ. ს. ჩუვახინმა ინახულა კანადის პრემიერ-მინისტრი ლ. სენ-ლორანი და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი.

ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული წერილის ტექსტი:

„მოსკოვი, კრემლი.

1956 წლის 6 ივნისი.

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

მინდა გაგიზიაროთ აზრი ისეთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემაზე, როგორიც არის განიარაღების პრობლემა, რომლის განხილვაში მონაწილეობას იღებს ორივე ჩვენი ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ქვეკომიტეტში.

სამწუხაროდ, ამჟამად უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი წლის მოლაპარაკებას ამ საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დადებითი შედეგები არ მოჰყოლია. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა, განსაკუთრებით მასობრივი მოსპობის ისეთ ახალ საზეობათა იარაღის გამოჩენის გამო, როგორიც არის ატომური და წყალბადის ბომბები, სულ უფრო აუცილებელი ხდება.

მე ვფიქრობ, დამეთანხმებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელების ახლანდელ ვითარებაში არის ხელსაყრელი შესაძლებლობა იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესამცირებლად. საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით შეხვდა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას თემთა პალატაში 20 მარტს იმის შესახებ, რომ კანადა ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს ქმედითი განიარაღების მისაღწევად, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და გააადვილებს სხვა გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგებას.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სახელმწიფოთა მიერ თავიანთი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელება მანამდე, სანამ მიღწეულ იქნება საერთაშორისო შეთანხმება ამ პრობლემაზე, ხელს შეუწყობდა მეტი ნდობის დამყარებას სახელმწიფოთა შორის და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. ხელმძღვანელობდა რა სწორედ ამ მოსაზრებებით, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ 1.200.000 კაცით და შესაბამისად შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების შემცირების შესახებ გარდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 640.000 კაცით შემცირებისა, რაც წინათ განხორციელდა.

მოგმართავთ რა ამ წერილით, გამოვთქვამ იმედს, რომ კანადის მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ქვეკომიტეტში და რომელსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია განიარაღების პრობლემის უსწრაფესი გადაჭრისათვის, მთელი ყურადღებით განიხილავს საბჭოთა მთავრობის 14 მაისის თანდართულ განცხადებას განიარაღების საკითხზე და შესაძლებლად მიიჩნევს გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას ხალხთა მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ბულგანინი

მის აღმატებულებას ლუის სენ-ლორანს
კანადის პრემიერ-მინისტრს
ოტავა“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ადნან მენდერესისადმი

8 ივნისს სსრ კავშირის ელჩმა თურქეთში ბ. ფ. პოდცერობამ ინახულა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფუად ქეფრულუ და გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ა. მენდერესისადმი.

ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული წერილის ტექსტი:

„მოსკოვი, კრემლი 1956 წლის 6 ივნისი.

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

მე მინდა გაგიზიაროთ აზრი ისეთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემაზე, როგორიცაა განიარაღების პრობლემა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ პრობლემის დადებით გადაჭრას კმაყოფილებით შეხვდებიან ჩვენი ქვეყნების ხალხები.

ამავე დროს როგორც მოგეხსენებათ, გაერთიანებული ერების განიარაღების ქვეკომიტეტის ამასწინანდელი ლონდონის სესია, სამწუხაროდ, კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. ამრიგად, მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, რაც უკვე ათ წელიწადზე მეტია წარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დღემდე არ მოჰყოლია დადებითი შედეგები, და გრძელდება გამალებული შეიარაღება, რაც ადამიანთა და მატერიალურ უდიდეს რესურსებს მოითხოვს.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაჩნდა მასობრივი მოსპობის ისეთ ახალ საზეობათა იარაღი, როგორიცაა ატომური და წყალბადის ბომბები, სულ უფრო აუცილებელი ხდება.

ვფიქრობ დამეთანხმებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელების ახლანდელ ვითარებაში ხელსაყრელი შესაძლებლობაა იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელონ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესამცირებლად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ უდიდესი სამხედრო ხარჯები, რასაც მთელი რიგი ქვეყნები ეწევიან გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით, სერიოზულ ეკონომიურ სიძნელეებს უქმნიან სახელმწიფოებს და მძიმე ტვირთად აწვებიან მოსახლეობას, რაც არა ერთხელ აღნიშნულა თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა განცხადებებშიც.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სახელმწიფოების მიერ თავიანთი შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელება მანამდე, სანამ მიღწეული იქნება საერთაშორისო შეთანხმება, ამ პრობლემის შესახებ, ხელს შეუწყობდა სახელმწიფოთა შორის მეტი ნდობის დამყარებას და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა მთავრობა, როცა მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ 1.200.000 კაცით, ამასთან შესაბამისად შეამციროს შეიარაღება და სამხედრო ხარჯები გარდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 640.000 კაცით შემცირებისა, რაც წინათ განხორციელდა.

მოგმართავთ რა ამ წერილით, გამოვთქვამ იმედს, რომ თურქეთის მთავრობა მთელი ყურადღებით განიხილავს საბჭოთა მთავრობის 14 მაისის აქ დართულ განცხადებას განიარაღების საკითხზე და თავის მხრივ შესაძლებლად მიიჩნევს გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას ხალხთა მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის, აგრეთვე ჩვენს ქვეყნებს შორის ნამდვილი კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ბულგანინი

მის აღმატებულებას
ადნან მენდერესს
თურქეთის რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრს
ანკარა“.

ამხანაგები იოსიპ ბროზ ტიტო, ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. მიქოიანი სტალინგრადში გაემგზავრნენ

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი მეუღლითურთ, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი მეუღლითურთ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი და პრეზიდენტის სხვა თანმხლები პირები 10 ივნისს დილით სპეციალური მატარებლით მოსკოვიდან სტალინგრადში გაემგზავრნენ.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტთან მარშალ იოსიპ ბროზ ტიტოსთან ერთად სტალინგრადში გაემგზავრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, არმიის გენერლები ა. ი. ანტონოვი და ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი და სხვა ოფიციალური პირები.

მიმავალნი მოსკოვის ყაზანის ვაგზალში გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. გ. პერვუხინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა, გზათა მინისტრმა ბ. პ. ბეშჩევმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ა. გრომიკომ, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. გ. ზაიცევმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ი. ს. კოლესნიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, სსრ კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლებმა.

ყაზანის ვაგზლის პერონი მორთული იყო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. (საკდესი).

ი. ბროზ ტიტო, ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. მიქოიანი სტალინგრადს ჩავიდნენ

სტალინგრადი, 11 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სტალინგრადის მზით გაკაშკაშებულ ქუჩებში და მოედნებზე არაჩვეულებრივი გაცხოველება სუფევდა. მცხოვრებნი ჯგუფჯგუფად და თითო თითოდ, ავტომანქანებით, მოტოციკლეთით, ველოსიპედებით, ავტობუსებითა და ტრამვაით მიემართებოდნენ ვაგზლისაკენ, რათა შეხვედროდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიქოიანს.

9 საათისათვის მოსკოვის დროით ვაგზლის რაიონში შეიკრიბა დაახლოებით 100 ათასი კაცი. ვაგზლის შენობა მორთულია იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო ალმებით. კოშკზეა ვ. ი. ლენინის პორტრეტი. წითელი ქსოვილები ფრიალებენ ლოზუნგებით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას და მჭიდრო თანამეგობრობას!“, „ძმური სალამი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხებს, რომელნიც სოციალიზმს აშენებენ!“, „მხურვალე სალამი პრეზიდენტ ამხანაგ ტიტოს!“.

9 საათსა და 30 წუთზე მოვიდა სპეციალური მატარებელი. ვაგონებიდან გამოვიდნენ ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო და მისი მეუღლე, ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი. ჩამოვიდნენ აგრეთვე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის თანმხლები იუგოსლავიის საზოგადო მოღვაწეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, არმიის გენერლები ა. ი. ანტონოვი და ი. ა. სეროვი.

ბაქანზე სტუმრებს შეხვდნენ: პარტიის სტალინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. კ. ეგგალინი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ს. პანკინი, სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ვ. დინკინი, სამხედრო ოლქის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ი. ერემენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნები ლ. ს. კულიჩენკო, დ. პ. ჟურავლიოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ა. გლებოვი, სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. ზემლიანსკი, მ. ნ. სომოვა, სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მშრომელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შეასრულეს იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მარშალმა იოსიპ ბროზ ტიტომ და მარშალმა ა. ი. ერემენკომ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს და მიიღეს პატაკი. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

ქალაქის მშრომელები ვაგზლის მოედანზე შეხვდნენ სტუმრებს მისალმების შემახილებით, მჭუხარე ტაშით.

იუგოსლავ მეგობრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ა. ვ. დინკინმა.

მიკროფონთან საპასუხო სიტყვა წარმოთქვა იოსიპ ბროზ ტიტომ.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშითა და „ვაშას“ შემახილებით.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა.

მიტინგის შემდეგ სტუმრები წავიდნენ სტალინგრადის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად.

იოსიპ ბროზ ტიტო, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი და მათი თანმხლები პირნი ავიდნენ მამაის ყორღანზე, სადაც იუგოსლავიის პრეზიდენტმა გვირგვინით შეამკო სტალინგრადის დაღუპულ გმირთა საფლავი.

ყველა ქუჩაზე და მოედანზე, სადაც კი სტუმრებმა გაიარეს, მათ გულთბილად შეხვდნენ ქალაქის მცხოვრებნი.

13 საათზე პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი და მათი თანმხლები პირნი წავიდნენ ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხზე.

კაიროდან მოსკოვს გამოემგზავრა იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე

კაირო, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოამზადე ელ-ბადრი საბჭოთა მთავრობის მიწვევით კაიროდან სპეციალური თვითმფრინავით გაემგზავრა მოსკოვს.

ემირ ელ-ბადრთან ერთად საბჭოთა კავშირში გაემგზავრა იემენის ფინანსთა მინისტრი ელ-ყადი ეს-ს

ქართველი მშენებლები უაზახეთში

1954 წლის ზაფხულში პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად საქართველოდან ჩვენი დიადი სამშობლოს აღმოსავლეთ მხარეებში უამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად დაწყებულ ახალგაზრდა პატრიოტთა შრომითს ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა ასობით ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი—აგრონომი, ინჟინერი, ტექნიკოსი, ექიმი და ა. შ.

საქართველოდან უაზახეთში ჩასულმა ქართველმა ინჟინერ-ტექნიკოსმა მშენებლებმა მთელ უაზახეთში ისახელეს თავი, გამოამჟღავნეს კარგი ორგანიზებულობა, მაღალი ტექნიკური მომზადება და გვიჩვენეს ნაყოფიერი შრომის საუკეთესო ნიმუშები. განსაკუთრებული კვალი დატოვეს მათ უარაგანდის საოლქთაშორისო სპეციალიზებულ სამშენებლო ტრესტში „სოვხოზვოდსტროიში“ მუშაობისას. ეს ტრესტი მომსახურებას უწევდა უაზახეთის სსრ უარაგანდის, აკმოლინსკის, კოკჩეტავის და პეტრო-პავლოვსკის ოლქებს. თვითეულ ოლქში ტრესტს ჰქონდა საოლქო სამონტაჟო სამშენებლო სამმართველოები, რომლებიც მონაწილეობდნენ ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნაში.

ჩასვლისთანავე ქართველ ინჟინერ-მშენებლებს მეტად დიდმნიშვნელოვანი, სასწრაფო ხასიათის ამოცანა დაუსახეს. მათ დაავალეს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ მდინარე სიბირ-კოჟაზე დიდი კაშხალის აგებას, ახლადმოწყობილი საბჭოთა მეურნეობის 60 ათასი ჰექტარი ფართობის სარწყავი ბაზის, საკმაოდ მოზრდილი წყალსაცავის შესაქმნელად. კაშხალის ასაგები ადგილი ქალაქ უარაგანდას დაშორებულია 120 კილომეტრით.

წინათ ამ ადგილას უკვე ყოფილა აგებული კაშხალი, მაგრამ იგი მდინარეს დაუხვევია და ჩვენს მშენებლებს მოუხდათ ძველი კაშხალის ნანგრევთა აწმენდა, ახალი საფუძვლისათვის სათანადო ძიების მოხდენა და მშენებლობის სწრაფი ტემპით გაჩაღება. დაუყოვნებლივ გავანაწილეთ ძალები, გამოვყავით ხელმძღვანელები, მოგვცეს მუშახელი და შევუდექით საქმეს.

სამშენებლო სამუშაოთა დაწყებამდე ჩვენმა ინჟინრებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მშენებელთა დაბინავებისა და ყოფაცხოვრების მოწყობას, ვინაიდან ეს მათ მიიჩნდათ მშენებელთა შრომის ნაყოფიერების ამაღლების აუცილებელ წინაპირობად. ასეც იყო. ოთხი თვის შემდეგ კაპიტალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა — სიბირ-კოჟას კაშხალი მზად იყო, დაიწყო მდინარის დაგუბება, რაც ზეიმით იქნა აღნიშნული. ამ მშენებლობაზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ინჟინრებმა ა. კალმახელიძემ და კ. გალდავაოთარაშვილმა.

ინჟინერ-მშენებელთა მეორე ჯგუფს, რომელსაც ინჟინერი ი. ბერიშვილი მეთაურობდა, ხელმძღვანელი რესპუბლიკური ორგანიზაციების რჩევით ტრესტმა მიანდო აკმოლინსკის ოლქში მდინარე იშიმზე ე. წ. კემბიდაიკის კაშხალის აგება. ეს კაშხალიც საჭირო იყო გვალვით გამოფიტული ყამირი მიწების მორწყვის უზრუნველსაყოფად. ამ ჯგუფმაც შრომითი ორგანიზებულობის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენა, მშენებლობა 8 თვეში მოათავა. ტრესტ „სოვხოზვოდსტროის“ კოლექტივს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ასეთი სწრაფი ტემპით მშენებლობისა და ამასთან სამშენებლო სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის უაზახეთის სსრ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე მომუშავე სამშენებლო ორგანიზაციებს შორის პირველობა მიეკუთვნა.

> ინჟინერ-მშენებელთა ერთ-ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინჟინერ-არქიტექტორი ა. ლუკაშვილი, გაემგზავრა უაზახეთის სს რესპუბლიკაში. ჯგუფის წევრთაგან ჩამოყალიბდა და დაკომპლექტდა სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი, რომელიც გაგზავნილ იქნა ქალაქ უარაგანდაში, როგორც საოლქთაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდა ტრესტი „სოვხოზვოდსტროი“. ტრესტის ხელმძღვანელობა მიანდეს საქართველოდან ჩასული ინჟინერ-მშენებელთა ჯგუფის მეთაურს ა. ლუკაშვილს და ამოცანად დაუსახეს უწინარეს ყოვლისა შესდგომოდნენ ახლახან ჩამოყალიბებული მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების ფართობთა მოსარწყავად მდინარეებზე სიბირ-კოჟაზე და იშიმზე წყალსაცავების მოწყობას.
>
> ქვემოთ ვაქვეყნებთ ამხ. ა. ლუკაშვილის წერილს.



ქალ. სარანი (უაზახეთის სსრ). ტრესტ „სარანუგოლის“ ადმინისტრაციული სახლი ქალაქის ცენტრში. სახლის პროექტის ავტორია არქიტექტორი ა. ლუკაშვილი.

ფოტო ავტორისა.

ბოლო დროს ქართველ ინჟინერ-მშენებლებს და დამპროექტებლებს მოგვანდეს უაზახეთში ახალი კურორტის გასაშენებელი პროექტის დამუშავება, ხარჯთაღრიცხვის შედგენა და ყველა მასალის დამუშავება სამშენებლო სამუშაოთა დასაწყებად. ეს ახალი კურორტია ბოროვოე, სადაც არის როგორც სამკურნალო ტალახის საბადო, ისე მინერალური წყაროები და, რაც ამ მხარეში იშვიათია, წიწვიანი ტყე. ამჟამად კურორტ ბოროვოეს მთელი კომპლექსის პროექტი მზად არის, ახლო ხანში მშენებლობაც დაიწყება და ვფიქრობთ ეს მშენებლობა ისეთი ტემპით განვავითაროთ, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში კურორტმა მასობრივად მიიღოს დამსვენებლები. ამ საქმეში დიდად ისახელეს თავი ინჟინრებმა გ. ცხაკაიამ, უ. ოდიშვილმა, ი. შირინმა, ლ. ჯანელიძემ და მ. კვარაცხელიამ.

უაზახეთის ქვანახშირის მრეწველობის, მთელი რიგი ახალი ინდუსტრიული საწარმოების მუშაკები, ისევე როგორც ყამირი და ნასვენი მიწების ამთვისებლები თავიანთ ყოველწლიურ შვებულებებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ატარებენ, ვინაიდან რესპუბლიკაში კურორტები იშვიათია.

შვებულებაში დასასვენებლად წასული შრომელი სულ ცოტა ორ კვირას გზაში ხარჯავს, ხანგრძლივი მგზავრობა მას არანაკლებ ღლის, ვიდრე შრომა, ხოლო როდესაც კურორტი ბოროვოე გაიხსნება, შვებულებაში მყოფთ აღარ მოუხდებათ შორ მანძილზე დასასვენებლად წასვლა.

დიდი სამუშაოები შესრულდა ჩვენი ინჟინერ-ტექნიკოსების ხელმძღვანელობით უაზახეთის ქვანახშირის ახალ სარეწველო რაიონებში — ეკიბასტუზსა და სარანში. ეკიბასტუზში ჩვენი ინჟინრები ხელმძღვანელობენ საქართველოდან ჩასული დამპროექტებლების მიერ შედგენილი პროექტებით მეშახტეებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების აგებას. ამ სახლების პროექტებში გამოყენებულია ქართული ხუროთმოძღვრების მოტივები, რაც საერთო მოწონებას იწვევს. ასევე მრავალი საცხოვრებელი სახლია აგებული ჩვენი ინჟინრების მიერ ქალაქ სარანში, რომელიც ქვანახშირის მრეწველობის ერთ-ერთი მძლავრი რაიონია უაზახეთში. ამ ქალაქის ცენტრს ახლა უკვე ამშვენებს ტრესტ „სარანუგოლის“ ადმინისტრაციული სახლის მონუმენტური შენობა, რომლის აგებაც ჩვენმა მშენებლებმა ახლახან დაამთავრეს.

ქალაქ უარაგანდის ხედს ახლა ამშვენებს მრავალი ლამაზი, საქართველოდან ჩასული ინჟინერ-ტექნიკოსების მიერ დაპროექტებული და მათი ხელმძღვანელობით აგებული მონუმენტური შენობა — საცხოვრებელი სახლები, კულტურის სასახლე, კავშირგაბმულობის სახლი, საავადმყოფო, საპროექტო ინსტიტუტის ადმინისტრაციული სახლი, კლუბი.

დიდი პოპულარობით სარგებლობს კოკჩეტავის ოლქში საქართველოდან გაგზავნილ სამედიცინო მუშაკთა მიერ მოწყობილი საავადმყოფო-პოლიკლინიკა, რომელსაც ექიმი გრ. ალფაიძე ხელმძღვანელობს. ეს საავადმყოფო-პოლიკლინიკა კოკჩეტავს დაშორებულია 30 კილომეტრით და შას იმდენად დიდი სახელი აქვს, რომ ავადმყოფები არა მარტო მახლობელი საბჭოთა მეურნეობებიდან, არამედ კოკჩეტავიდანაც კი მიდიან.

საერთოდ უაზახეთში საქართველოდან ჩასულებს ხშირად შეხვდებით თითქმის ყოველ საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოში, მუშათა საცხოვრებელ დაბაში. აკმოლინსკის საოლქო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ვლ. მანსვეტაშვილმა გადმომცა, რომ მათს ოლქში საქართველოდან სამუშაოდ ჩასული ახალგაზრდები ავტორიტეტით სარგებლობენ, ყველა საქმეში განსაკუთრებულ თავდაჭერილობას და შრომაში მუყაითობას იჩენენ.

* * *

საქართველოდან უამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში ჩასული ახალგაზრდა პატრიოტები დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს აკეთებენ, საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ერის შვილებთან ერთად თავდადებით იბრძვიან პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის.

მათი სურვილი ის არის, რომ საქართველოდან მათთან სათანადო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაამყარონ სისტემატური კავშირი მიწერ-მოწერით და ლიტერატურის მიწოდებით. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ბევრად უმჯობესია, თუ სპეციალისტების, კერძოდ, ინჟინერ-ტექნიკოსების ინდივიდუალურად გაგზავნის ნაცვლად აქვე ჩამოყალიბდება ამა თუ იმ პროფილის სამშენებლო ორგანიზაცია, დაკომპლექტდება იგი სათანადო კადრებით და მთელი ეს ორგანიზაცია კოლექტიურად გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

უაზახეთის თვალუწვდენი ტრამალების ასათვისებლად ჩვენი რესპუბლიკიდან წასულ სპეციალისტებს ღირსეული წვლილი შეაქვთ ამ დიდ და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საქმეში. ამით ისინი დიდ მორალურ კმაყოფილებას გრძნობენ, და დიდად სასურველი იქნებოდა, რომ მათი შრომითი თავდადების შესახებ პრესამ დროდადრო მოუთხროს საქართველოს მშრომელებს.

ა. ლუკაშვილი,
ინჟინერ-არქიტექტორი.

მოწინავე ახალგაზრდეგის ერთსულოვანი გადაწყვეტილება

უჩვეულო გამოცოცხლებაა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომში. აქ განუწყვეტლივ მოდიან პატუცები და ქალიშვილები, რომლებსაც გადაუწყვეტიათ პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად გაემგზავრონ აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის, დონბასის საწარმოებში და მშენებლობებზე სამუშაოდ. უცქერით ამ ახალგაზრდებს, რომელთა სახეებზე აღბეჭდილია რწმენისა და ნებისყოფის სიმტკიცე, და გაჯერათ, რომ ისინი დაძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას, წარმატებით შეასრულებენ პარტიის დავალებას. რაიკომში უკვე შემოვიდა ახალგაზრდა პატრიოტების 1.200-ზე მეტი განცხადება თხოვნით — გაგზავნონ კომუნიზმის დიდ მშენებლობებზე.

6 ივნისს კომკავშირის რაიკომმა მოაწყო რაიონის იმ პატრიოტი ახალგაზრდების სალამო, რომლებიც მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას და გადაწყვიტეს სამუშაოდ წავიდნენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის რაიონებში. სალამოს 7 საათზე სომხური დრამის სახელმწიფო თეატრი ხალხით გაიკვრა. აქ არიან ახალგაზრდები, მათი მშობლები და მახლობლები. საღამო შესავალ სიტყვით გახსნა კომკავშირის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ცხაკაიამ. გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გველესიანი დამსწრეთ ესაუბრა ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და უაზახეთში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მეექვსე ხუთწლედში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით, ხალხის საქმისათვის თავდადების სულისკვეთებით იყო გამსჭვალული სიტყვები, რომლებიც ახალგაზრდებმა საღამოზე წარმოთქვეს.

— მე მსურს გავხდე უაზახეთში რკინიგზების მშენებლობის მონაწილე, — განაცხადა ხორცკომბინატის კომკავშირელმა მუშამ გურამ კერესელიძემ. — ჩემთან ერთად უაზახეთში სამუშაოდ მოდიან ლიდა ტულმა და სხვა ჩემი ამხანაგები ხორცკომბინატიდან. მტკიცე კომკავშირულ სიტყვას ვიძლევით, რომ თავდადებული შრომით გავამართლებთ ჩვენი კომბინატის კოლექტივის ნდობას.

ტრიბუნაზე ადის ანა ჩერნიშევა. იგი სავაჭრო-კულინარიულ სკოლას ამთავრებს.

— ძალიან მიყვარს თბილისი, — თქვა მან.— აქ გავიზარდე და ვსწავლობდი, აქ მყავს მეგობრები და ნაცნობები, მაგრამ მაინც გადავწყვიტე წავიდე უაზახეთში, რადგან ჩემი შრომა ამჟამად სამშობლოს ყველაზე მეტად იქ გამოადგება. კარგად ვიცი, რომ ახალ მშენებლობებზე დიდ სიძნელეებს წავაწყდებით, მაგრამ ეს არ მაშინებს.

რაია გონჩაროვა ამხანაგების სახელით აცხადებს:

— ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ახალ დიდ მშენებლობებში, თუ არა ჩვენ, ახალგაზრდებმა! ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კომკავშირელებმა გადავწყვიტეთ წავიდეთ შორეულ აღმოსავლეთში, საათკენაც მოგვწოდებენ პარტია და მთავრობა. ვიმუშავებთ კეთილსინდისიერად ისე, რომ არავის შეეძლოს დაგვაყვედროს, თითქოს ჩვენ იქ მხოლოდ ცნობისმოყვარეობისათვის მივდიოდეთ.

საღამომ გვიჩვენა, რომ თბილისის 26 კომისრის რაიონის მოწინავე ახალგაზრდობა მზად არის შეასრულოს პარტიის ყველა დავალება, გამოიჩინოს გმირობა და მამაცობა სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

ო. ბერიშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადებაში“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 15 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო მახარაძის რაიონის სოფელ მშვიდობიანის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მუშობა ჩაის პლანტაციების მოვლისა და კრეფისათვის მზადებაში.

პარტიის მახარაძის რაიკომმა განიხილა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი, სწორად ცნო კრიტიკა და დასახა სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის გაძლიერებისათვის.

რაჭიმ არ არის სახელმწიფო მაღაზიებში ახალი ხილი. მწვანილი?

ახლა საკოლმეურნეო ბაზრის ბაზრები ავსებულია ახალი ხილით, ბაღჩეულით და ბოსტნეულით. ალუჩა, ბალი, კიტრი, ტარხუნა, წიწმატი, ხახვი, ახალი კომბოსტო, ახალი კარტოფილი, რა გინდა სულო და გულო, რომ არ იყოს ბაზარზე გამოტანილი.

ამავე დროს სცადეთ და შეიარეთ თბილისელ-ბოსტანავაჭრობის მაღაზიებში! ცარიელ თაროებს გარდა შეიძლება ზოგან კაცი წააწყდეს მოხერებულ, თითქმის უკვე უვარგის, ბოსტნეულს, მაგრამ ვერ ნახავს ბალს, კიტრს, ახალ პამიდორს, ახალ კომბოსტოს, ალუჩას. რატომ არაფერი გაქვთ, რამ გამოგიცარიელათ ასე მაღაზიაო, მოგვმართავენ ხოლმე ხშირად საკვებით საფუძვლიანი საყვედურით მომხმარებლები. აი რაშია საქმე:

მთავრობის მითითების მიხედვით თბილისელ-ბოსტანავაჭრობის სავაჭრო ქსელის ყოველი მაღაზია მიმაგრებულია ამა თუ იმ კოლმეურნეობაზე და სამეურნეობაზე, რომლებიც მაღაზიებს ხელშეკრულების მიხედვით უნდა უგზავნიდნენ თავიანთი ტრანსპორტით და საავალდებულო სახელმწიფო დამზადების ანგარიშში როგორც ბოსტნეულსა და ბაღჩეულს, ისე ხილს. მაგრამ ზოგი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ყველა საშუალებით ცდილობენ, რომ ეს თავიანთი პროდუქცია სახელმწიფო ვაჭრობის ქსელს აცდინონ და საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზარზე გადიდებულ ფასებში გაყიდონ.

სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი პუნქტების მუშაკები, რომლებიც მოვალენი არიან სავალდებულო დამზადების წესით მიღებული ხილი და მწვანილი სავაჭრო ქსელში გაანაწილონ, უხეშად არღვევენ მთავრობის დადგენილებას, საშუალებას აძლევენ კომბინატორებს ხელი მოითბონ ამ პროდუქტებზე.

იციან თუ არა ეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში? უთუოდ იციან, ვინაიდან ხედავენ, რომ მაღაზიებში არაფერი გვაქვს, მაშასადამე, სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებლები არაფერს გვაძლევენ, ზომებს კი არავინ არ იღებს.

აღმაშფოთებელია, რომ ყველანი, ვისი მიზეზითაც ჩაშლილია სახელმწიფო სავაჭრო ქსელის მომარაგება ხილით და ბოსტნეულით, დაუსჯელი არიან, საყვედურიც კი არავის უთქვამს მათთვის. დავასახელებ რამდენიმე მაგალითს: თბილისელბოსტანავაჭრობის მესამე მაღაზიისათვის, რომელიც მელიქიშვილისა და უაზბეგის ქუჩების კუთხეშია, დილის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას უნდა შემოეზიდა 7 ტონა ხახვი, წიწმატი, კიტრი, ბალი. ნამდვილად კი არაფერი არ მოუტანია. ამას წინათ ამავე კოლმეურნეობიდან შეგვატყობინეს — ალუჩა წაიღეთო. გავგზავნეთ მანქანა, მაგრამ ალუჩა ამავე კოლმეურნეობის (თავმჯდომარე რ. ჭიღლაძე) სავაჭრო დუქანში აღმოჩნდა წადებული.

გარდაბნის საბჭოთა მეურნეობიდან, რომელსაც ამხ. ბაძაღუა ხელმძღვანელობს, ჩვენს მაღაზიას უნდა მიეღო ტონანახევარი ახალი კომბოსტო. ვინაიდან მეურნეობიდან ამ კომბოსტოს გამოგზავნას არაფერი ეშველა, იძულებული გავხდით თვითონ წავასულიყავით. მაგრამ.. მეურნეობის ხელმძღვანელები თანახმა გახდნენ მაღაზიისათვის ახალი კომბოსტო მოეცათ მხოლოდ იმ პირობით, თუ დამატებით („იძულებით ასორტიმენტად“) წამოვიღებდით 2 ტონამდე უვარგის, აშმორებულ ქინძსა და წიწმატს, რაც შემდეგ თბილისში სათანადო აქტის გაფორმების შედეგად გადავყარეთ.

ვფიქრობ, ამგვარ უმსგავსოებას ბოლო უნდა მოეღოს. ამ საქმეში ჩვენ, მაღაზიების მუშაკები, ულონონი ვართ. თბილისელბოსტანავაჭრობის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. კორძაიამ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ კი აუცილებლად უნდა მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება ამ უმსგავსოების სალიკვიდაციოდ.

გ. კოგბიძე,
თბილისელბოსტანავაჭრობის მესამე მაღაზიის დირექტორი.

წერილები რედაქციას

სანიმუშოდ მოვამზადოთ ოქტომბერი ახალი სასწავლო წლისათვის

საბჭოთა სკოლა გარემოსილია პარტიისა და მთავრობის, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყოველდღიური ყურადღებითა და მზრუნველობით. ამასთან სკოლებს სერიოზულ დახმარებას უწევენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საწარმო-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამის შედეგად განუხრელად უმჯობესდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მტკიცდება სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა.

წლითიწლობით მაღლდება მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, მტკიცდება შეგნებული დისციპლინა, ძლიერდება მოსწავლეთა ლტოლვა შრომისადმი, პრაქტიკული საქმიანობისადმი. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პოლიტექნიკური სწავლების შემოღებამ.

მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ. არსებული სკოლების კეთილმოწყობისა და ახალი სასკოლო შენობების მშენებლობისათვის ზრუნვა, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება ჩვენი საპატიო მოვალეობაა.

ბათუმის სკოლებს გარკვეულ დახმარებას უწევენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებები. ბევრი მათგანი შეფობას უწევს და საქმიანად ეხმარება სკოლებს. განსაკუთრებით საგრძნობია ეს დახმარება უკანასკნელ წლებში, კერძოდ სახელოსნოების მოწყობაში. ამ მხრივ გამოირჩევიან სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი, კოფეინის, ლუდის, მანქანათმშენებელი ქარხნები, ციტრუსკომბინატი და სხვა საწარმოები.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადების საკითხი ახლა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და განათლების ორგანოების, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. აღნიშნული საკითხი უკვე განიხილეს პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ და ქალაქის საბჭოს აღმასკომმა. მოფიქრებული და შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადებას. კერძოდ, ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ განვახორციელოთ შემდეგი ღონისძიებანი:

სასკოლო ასაკის არც ერთ ბავშვს არ დავტოვებთ სკოლის გარეთ, ხოლო მე-7-8 კლასდამთავრებულ მოსწავლეებს ჩავაბამთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და საშუალო-ტექნიკურ სასწავლებლებში ან დავეხმარებით მათ სამუშაოზე მოწყობაში და ჩავაბამთ მუშა ახალგაზრდობის სკოლებში.

მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის უზრუნველყოფთ საშუალო სკოლის ახალი სამსართულიანი შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემას გრიბოედოვის ქუჩაზე, მოვამარაგებთ მას საჭირო ინვენტარით, დავაკომპლექტებთ სათანადო პედაგოგიური კადრებით.

მოვახდენთ №№ 2, 8, 13, 14, 17 საშუალო სკოლების შენობათა რეკონსტრუქციას, რის შედეგად მათ შეემატება ათი საკლასო ოთახი, ორი ფიზკულტურული დარბაზი და სხვა სათავსები.

№№ 2, 9, 11, 13 სკოლებში ავაშენებთ და მოვაწყობთ სასწავლო სახელოსნოებს.

მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს გავუკეთებთ ქალაქის 16 საშუალო სკოლის, 13 საბავშვო ბაღის, სპორტსკოლისა და პიონერთა პარკის შენობებს, რაზეც დავხარჯავთ 350 ათას მანეთზე მეტს. შევაკეთებთ მთელ სასკოლო დგამ-ავეჯსა და ინვენტარ-მოწყობილობას. შევავსებთ კაბინეტ-ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკებს 274 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღებითა და ლიტერატურით.

№ 14 და № 15 სკოლებთან გავაკეთებთ სასპორტო მოედანს, ბავშვთა ტურისტული ბაზის მეშვეობით ზაფხულის პერიოდში მოვაწყობთ მასობრივ ექსკურსიებს, ტურისტულ ლაშქრობებს და მოგზაურობებს მშობლიური მხარის შესასწავლად. ქალაქში გავხსნით ორ გამაჯანსაღებელ მოედანს ათასი ბავშვისათვის. გარდა ამისა, №№ 13, 14, 17 და ზოგიერთ სხვა სკოლასთან მოვაწყობთ გამაჯანსაღებელ მოედნებს თვითეულს 50-60 ბავშვისათვის.

№№ 1, 3, 6, 25 და ზოგიერთი სხვა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს გავიყვანთ აგარაკებზე, კურორტებზე და პიონერთა ბანაკებში.

ფართოდ გავაჩაღებთ მუშაობას პედაგოგთა კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ზაფხულის პერიოდში ქალაქის 90 მასწავლებელი გაივლის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. სექტემბერში 30 მასწავლებელი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ გაივლის კურსებს პოლიტექნიკურ საგნებში.

სანიმუშოდ ჩავატარებთ აგვისტოს მეთოდიურ თათბირებს, მოვაწყობთ მშობლებისა და პედაგოგებისათვის სემინარებს სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

ზაფხულის პერიოდში სკოლებს მოვამარაგებთ შეშით, ქვანახშირითა და სხვა სათბობით.

ამჟამად ქალაქის სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს გამოცდები. პარალელურად ვაწარმოებთ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. მაგალითად № 13 სკოლაში დაწყებულია შენობის რემონტი. შენობისა და სასკოლო ინვენტარის შეკეთება მიმდინარეობს ქალაქის ზოგიერთ სხვა სკოლაშიც.

აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულებაში ფართოდ ჩავაბამთ ქალაქის საწარმო-დაწესებულებებს, ყველა მშრომელს, მაქსიმალურად გამოვიყენებთ სკოლის საშეფო ორგანიზაციების დახმარებას და ამ გზით ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს ქალაქ ბათუმის მშრომელთა სახელით, ჩვენ ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად და სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომ გასაუმჯობესებლად, მზრუნველობასა და დახმარებას არ მოვაკლებთ სკოლებს.

ლ. უკლება,
საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი,

გ. შენგელია,
ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე,

გ. ქათიმაძე,
სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

გურჯაანელ რკინიგზელთა კლუბში

რკინიგზის გურჯაანის კვანძზე შრომობს ასობით რკინიგზელი — მეორთქლმავლეები, მოძრაობის მუშაკები, მეკავშირეები, მელიანდაგეები. ბევრ მათგანს ყოველდღე ნახავთ მუშათა კლუბში სამუშაოდან თავისუფალ დროს. ზოგი მოდის ბიბლიოთეკაში ახალი წიგნებისათვის, ზოგს აინტერესებს კინოსურათის ნახვა, ზოგიც „მეცადინეობს მხატვრული თვითმოქმედების წრეში.

კლუბში ცხოვრება დილიდან იწყება. ათი საათისათვის იღება ბიბლიოთეკა, მოდიან ჭრაკერვის სკოლის მოსწავლე ქალიშვილები, კლუბის მხატვარი იწყებს ფიშების წერას, რომლებიც იუწყებიან კინოსურათის ან სპექტაკლის შესახებ, კინომექანიკოსი ამოწმებს აპარატურას.

კლუბთან შექმნილია დრამატული, ცეკვის, ფოტომოყვარულთა წრეები, ჩასაბერი საკრავების ორკესტრი. მხატვრული თვითმოქმედების წრეებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ არა მარტო რკინიგზელები, არამედ მათი შვილებიც.

კლუბის აქტივისტები თავიანთ საქმიანობას არ საზღვრავენ გურჯაანის კვანძით. ისინი დადიან ხაზზეც. წელს კლუბის აგიტბრიგადა საკვანძო პარტკომის პროპაგანდისტებთან ერთად მოემსახურა შრომის, ვაზიანის, წინანდლის, თელავის სადგურების რკინიგზელებსა და მათი ოჯახის წევრებს...

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის მხატვრული თვითმოქმედების წრეები შეფობას უწევენ მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას. ეს წრეები მეურნეობის მუშათა კლუბში ხშირად მართავენ უფასო კონცერტებს და ეხმარებიან კლუბს მუშაობაში.

რკინიგზის გურჯაანის მუშათა კლუბი რკინიგზელთა შორის ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა.

თ. გოგიაშვილი.



ამას წინათ ბორჯომში ამუშავდა მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ახალი ქარხანა. ქარხანა აღჭურვილია გაუმჯობესებული ტექნიკით და ყოველდღე ასხამს 300.000 ნახევარლიტრიან ბოთლს. 1956 წელს ქარხანა სახელმწიფოს მისცემს 70 მილიონზე მეტ ბოთლ მინერალურ წყალს. **სურათებზე:** მარცხნივ (წინა პლანზე) — ჩამოსასხმელი საამქროს მოწინავე მუშა ნ. რევაზიშვილი, რომელიც დავალებას სისტემატურად 180-200 პროცენტით ასრულებს. მარჯვნივ — საამქროს ოფიციანტი თ. ყორანაშვილი ამოწმებს ბორჯომის წყლის დაგვნის ზომას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ო. თურქიასი.

ხალხები ინონებენ საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივას

უცხოეთის გამოჩხმაურებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილზე დასავლეთ ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელებისადმი

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). ნიუ-იორკის ყველა გაზეთი ცნობებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილის შესახებ თვალსაჩინო ადგილებზე აქვეყნებს. სათაურებში, რომლებიც წერილის შინაარსსა თუ მის ტექსტს ახლავან, ხაზგასმით აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატებისადმი მიმართული მოწოდება — მიეხმრონ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებას. „ბულგანინი წინადადებას აძლევს დასავლეთს შემაციროს შეიარაღებული ძალები გერმანიაში", — ნათქვამია გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" სათაურში. „ბულგანინი კვლავ იწვევს შეერთებულ შტატებს მიეხმრონ შეიარაღების შემცირებას" („ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი").

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ამერიკული პრესის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივა საერთაშორისო ასპარეზზე ამ ქვეყნებში უაღრესად ცხოველ გამოხმაურებას იწვევს.

როგორც იუნაიტედ პრესის საagენტოს ცნობიდან ჩანს, ამერიკის ოფიციალური წრეების წარმომადგენლებმა ჩვეულებრივ ხერხს მიმართეს, რათა გაამარწყლონ დიდი ინტერესი საბჭოთა წინადადებისადმი. ამ წრეებში ამტკიცებენ, რომ ნ. ა. ბულგანინის ახალი წერილი, მიძღვნილი განიარაღების საკითხისადმი, „პროპაგანდას" წარმოადგენს. ცნობაში აღნიშნულია, რომ. ვაშინგტონის „ავტორიტეტული წრეების" აზრით, წერილი თითქოს „არ შეიცავს არავითარ ახალ წინადადებას, რომელსაც შეეძლოს ბოლო მოუღოს განიარაღების საკითხზე შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დიდი ხნის ჩიხს".

ინგლისი

ლონდონი, 9 ივნისი. (საკდესი). ინგლისური პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ნ. ა. ბულგანინის წერილებს დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურებისადმი. „ტაიმსმა" გვიან გამოშვებაში გამოაქვეყნა წერილის სრული ტექსტი, რომელიც რეუტერის საagენტომ გადაცა. დარჩენმა გაზეთებმა, რომლებიც მასობრივი ტირაჟით გამოდიან, დაბეჭდეს ნ. ა. ბულგანინის წერილის ნაწყვეტები. სათაურებში ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინის წერილები შეიცავენ საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებს შეიარაღების შემცირების საკითხზე.

„ტაიმსის" დიპლომატიური მიმომხილველი კომენტარს უკეთებს ნ. ა. ბულგანინის წერილებს და ეხება შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებისადმი ამერიკის მმართველი წრეების დამოკიდებულებას. „დაღლესმა უკვე განაცხადა, — ხაზგასმით აღნიშნავს მიმომხილველი, — რომ შეიარაღებული ძალების რიცხვის შემდგომი შემცირება ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა". მიმომხილველის აზრით, შეერთებულ შტატებს ეშინიათ შეამცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალების რიცხვი, რამდენადაც „ისინი ვერ შეძლებენ შეინახონ ფართოდ გაბნეული ბაზების ახლანდელი რაოდენობა"...

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" დიპლომატიური მიმომხილველი ცდილობს დაადგინოს მნიშვნელობა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებისა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის და შეიარაღების შემცირების შესახებ და ამტკიცებს, რომ თითქოს „შეუძლებელი" იქნება ამის გაგება, მართლა განხორციელდა თუ არა ეს შემცირება".

საფრანგეთი

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). პარიზის ყველა დილის გაზეთმა გამოაქვეყნა დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურებისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილების დაწვრილებითი შინაარსი. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა მთავრობის ახალი ინიციატივის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას. გაზეთმა „ფიგარომ" ნ. ა. ბულგანინის წერილის ტექსტი გამოაქვეყნა სათაურით „მოწოდება გერმანიაში შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ". გაზეთი „პოპიულერ დე პარი" აღნიშნავს, რომ „შეერთებული შტატების მთავრობა სწავლობს მარშალ ბულგანინის წერილს".

გაზეთმა „პარიზიენ ლიბერეიმ" ცნობა ნ. ა. ბულგანინის წერილის შესახებ გამოაქვეყნა სათაურით „მოსკოვი წინადადებას აძლევს დასავლეთს. ლონდონსა და პარიზს გაიყვანონ თავიანთი ჯარები გერმანიიდან". ზოგიერთი სხვა ბურჟუაზიული გაზეთის მსგავსად, „პარიზიენ ლიბერე" ცდილობს დაარწმუნოს მნიშვნელობა საბჭოთა მთავრობის ამ ახალი ინიციატივისა, რომლის მიზანია შეიარაღების შემცირება.

გაზეთმა „ორორმა" ნ. ა. ბულგანინის წერილს უძღვნა სპეციალური სტატია, რომელშიც აღნიშნავს, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს, მთავარ ყურადღებას აქცევენ დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციებში. „ორორი" მოუწოდებს „სერიოზულად შეისწავლონ ალმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოების პირობები და გაამრავლონ კონტაქტები, რაც, როგორც უკვე შეიძლება დავინახოთ არსებით პროგრესს იწვევს თანაარსებობის დარგში".

გაზეთმა „ლიბერასიონმა" გამოაქვეყნა ნ. ა. ბულგანინის წერილის შინაარსი სათაურით „ბულგანინი სწერს ეიზენჰაუერს, იდენს, ადენაუერსა და გი მოლეს: შევამციროთ ჩვენი შეიარაღებული ძალები, ისე, რომ საერთაშორისო შეთანხმებას არ დაველოდოთო".

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 9 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული პრესა ცენტრალურ ადგილს ბეჭდავს ცნობებს წერილების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერსა და საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გი მოლეს.

ამ ცნობების სათაურებში გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირმა ახალი ინიციატივა გამოიჩინა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და განიარაღების საქმეში.

გაზეთები „ნოიეს დოიჩლანდი" და „ნაციონალ-ცაიტუნგი" აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა განიარაღების საკითხში და ესწრაფვის, რომ უცხოეთის მთელი ჯარები გაყვანილ იქნან გერმანიის ტერიტორიიდან.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა

ბუქარესტი, 9 ივნისი. (საკდესი). რუმინეთის ყველა ღღეგანდელმა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ტექსტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილებისა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისა და საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გი მოლესადმი.

გაზეთებმა ეს წერილები მოათავსეს შემდეგი სათაურებით: „რომინია ლიბერამ" — „განიარაღების პრობლემის გადაჭრა საარსებო საკითხეებია"; „მუნკამ" — „შექმნილია უფრო ხელსაყრელი პირობები განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებისათვის"; „სკინტეია ტინერეტულუმ" — „სსრ კავშირი აქტიურად უწყობს ხელს განიარაღების პრობლემის გადაჭრას".

კ ო მ უ ნ ი კ ე

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეცხრე სესიის შესახებ

ა. წ. ივნისის დამდეგს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეცხრე სესია.

სესიაზე მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები და პრინციპულად შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებმა ერთობლივად შეიმუშაონ ცალკეული მანქანები და ტექნოლოგიური პროცესები საგლინავი და სამკედლო-საწნეხე მოწყობილობის, ორთქლის, გაზისა და ჰიდრავლიკური ტურბინების, გენერატორების, თბოძალოვანი მოწყობილობის, მძლავრი ელექტროსადნობი ღუმელების, ვაკუუმისა და ყანგბადის დანადგართა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობის მოწყობილობის წარმოების დარგში. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ქვანახშირის ამოსაღები მოწყობილობის ნიმუშების გაცვლის შესახებ ამ ნიმუშების გამოსაცდელად საწარმოო პირობებში და შემდეგ რეკომენდაციების გასაცვლელად მათი კონსტრუქციების გაუმჯობესების თაობაზე.

მხარეები დათანხმდნენ მოეწყოს 1956 წლის მეორე ნახევარში თათბირი სოფლის მეურნეობაში მინერალური, ორგანული და ბაქტერიალური სასუქების გამოყენების ყველაზე ეფექტიანი ხერხების საკითხებზე და ამ თათბირზე მოიწვიონ დემოკრატიული ბანაკის სხვა ქვეყნების სპეციალისტები.

ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ორგანიზაციები განახორციელებენ ტექნიკური დოკუმენტაციის ურთიერთგაცვლას და მიიღებენ სპეციალისტებს, რათა გაცნონ მათ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

გადასაცემად დასახული დოკუმენტაციიდან საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას გადასცემს ცალკეულ სახეობათა მეტალურგიული, სამკედლო-საწნეხე და ენერგეტიკული მოწყობილობის ნახაზებსა და წარმოების ტექნოლოგიის აღწერას, ბუხტარმის ჰესის ტექნიკურ პროექტს, რკინაბეტონის ბლოკებს ქარხნების პროექტებს, ოპტიკური მინის წარმოებისა და საფეიქრო მრეწველობაში იზოტოპების გამოყენების დოკუმენტაციას.

შესაბამისი საბჭოთა ორგანიზაციები ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტებს გააცნობენ სპეციალური ფოლადების წარმოების ტექნოლოგიას, მეტალურგიაში ჟანგბადის გამოყენებას, დიზელ-ელექტროთბომავლების, ენერგომატარებლების, ტურბინკომპრესორების, სამანტე და საბურავი მოწყობილობის წარმოებას, ტრაქტორების წარმოების ნაკადური მეთოდით, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების ნაკადურ-ჩქარსონული მშენებლობის გამოცდილებას.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა თავის მხრივ საბჭოთა კავშირს გადასცემს ცალკეულ სახეობათა სამთამადნო მოწყობილობის, ელექტრომავლების, ლითონდამუშავებელი ჩარხების, რკინიგზის ვაგონების წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგრეთვე გააცნობს საბჭოთა სპეციალისტებს ღარიბი რკინის მადნიდან კრიაის მიღების ტექნოლოგიას, მძლავრი ორთქლალოვანი დანადგარების, გაზისა და ჰიდრავლიკური ტურბინების წარმოებას, კოროზიისაგან მოწყობილობის დაცვის საშუალებებს, გამოკვლევებს ნახევრადგამტართა დარგში, სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების სისტემის მუშაობას.

სესიის მუშაობა მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს კომისიის ჩეხოსლოვაკიის ნაწილი გაეცნო მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და სამეცნიერო-საკვლევ დწესებულებებს და დათვალიერა სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა.

სსრ კავშირსა და იაპონიას შორის კულტურული ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით გაფართოებისა თვის

სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ამხ. ნ. ა. მიხაილოვმა მიიღო აზიის ქვეყნების სოლიდარობის იაპონიის კომიტეტის დელეგაცია

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვეერთ მოსკოვში იმყოფება აზიის ქვეყნების სოლიდარობის იაპონიის კომიტეტის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა კეთილი ნების მისიით.

დელეგაციაში შედიან იაპონიის კულტურის უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწეები, საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას საბჭოთა და იაპონელ ხალხებს შორის: ცნობილი მწერლები ისიკავა ტაძუცო, მაცუოკა იოკა, მურამაცუ გიიჩი, დან ტოკუსაბური, ხიიო მოორო, გამოჩენილი კინორეჟისორი კინოშიტა მასაკატი, კომპოზიტორი და დირიჟორი აკუტაგავა იასუსა, პროფესორი კიდო მანტარო. მხატვარი ფუკუდა ტოიოსირო, მოქანდაკე ხოშგო სინი, გამოჩენილი იაპონელი მსახიობი ნაკანო ხარუკო სიგიმურა, თეატრალური კრიტიკოსი ოკაკი ხიროპურუ და სხვები.

სსრ კავშირში ყოფნის დროს დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო საბჭოთა ხალხის მიღწევებს კულტურულ მშენებლობაში, შეხვდა საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს, ინახულა მოსკოვის, ლენინგრადის, ალმა-ატის, ტაშკენტის, თბილისის, სოჭის, სოხუმის, ბევრი კულტურული დაწესებულება.

ა. წ. 9 ივნისს დელეგაცია მიიღო სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ამხ. ნ. ა. მიხაილოვმა. დაწვრილებითს საუბარში განხილულ იქნა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოების საკითხები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის, ლიტერატურული ნაწარმოებების, ფილმების, ანსამბლების, ფერწერული ნამუშევრების, ფოტოგრაფიული ალბომების, ფილატელიისა და ფილოკარტიზმის, ფიზიკურ კულტურა და სპორტის, ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოგრაფიის, ფოლკლორული ანსამბლების, ბალეტის, ოპერეტის, ოპერა-ბალეტის, ოპერა-ბალეტ-ოპერეტის, ბალეტ-ოპერეტ-ოპერა-ბალეტის, ოპერეტ-ოპერა-ბალეტ-ბალეტ-ოპერეტ-ოპერა-ბალეტ-